ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დიდუბის რაიონის(დიღმის მასივი)

მაჟორიტარი დეპუტატის

თარაშ შურღაიას

2018 წლის ანგარიში .

საკრებულოს თემა

პირველ რიგში მინდა შევეხო საკრებულოში ჩემს საქმიანობას. მე ვარ 2 კომისიის წევრი: გარემოს დაცვისა და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრი.

სულ საკრებულოში ჩატარდა 29 სხდომა.

დასწრება 15

მიღებული დადგენილება 127

განკარგულება 397

გარემოს დაცვის კომისია: ჩატარებული სხდომების რაოდენობა 25

დასწრება16

განხილული საკითხების რაოდენობა 55

შესწავლილი საკითხების რაოდენობა 31

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია: სხდომების რაოდენობა 21

დასწრება 17

წარმომადგენლობა

გადავალ ჩემი სამაჟორიტარო წარმომადგენლობის საქმიანობაზე. რაც შეეხება ჩემი ოფისის სამუშაო განრიგს. ოფისი მუშაობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10:00 სთ-დან 18:00სთ-მდე. მიუხედავად იმისა რომ, მოქალაქეების მიღების დღე ოთხშაბათია, სხდომების დღის გამოკლებით, მოქალაქეებს ვღებულობ ყოველდღიურ რეჟიმში,

პირადად ვისმენ მათ პრობლემებს და შესაბამის რეაგირებას ვახდენ. მინდა თამამად ხაზი გავუსვა რომ არცერთი მოქალაქის პრობლემა არ დარჩენილა ჩემი და შესაბამისი სამსახურების ყურადღების მიღმა.

მოსახლეობა

სულ დიღმის მასივში ცხოვრობს 28 235 ადამიანი, აქედან სოციალურად დაუცველის სტატუსით სარგებლობს დაახლოებით 6 220 ადამიანი, რომელთაგან 865 უფასო სასადილოს ბენეფიციარია, 2 930დევნილი, 3 150 პენსიონერი, 400 ვეტერანი.

ჩემი მუშაობის პერიოდში 2018 წლის იანვრიდან დღემდე სულ მოგვართა დაახლოებით 3 000-მდე ადამიანმა. შემოვიდა 233 განცხადება. საიდანაც 95% იყო სოციალურ თემაზე, ხოლო 5 % სხვადასხვა საკითხებს მოიცავდა. განხორციელდა დაახლოებით 1500-მდე სატელეფონო შუამდგომლობა.

სოციალური საკითხი

რაც შეეხება სოციალურ საკითხებს, რომელიც მოიცავს ოპერაციებს, მედიკამენტებს, მკურნალობას, გამოკვლევას, ერთჯერად ფინანსურ დახმარებას, სარეაბილიტაციო კურსებს, შემოსული განცხადებებიდან დაკმაყოფილდა ყველა, ჩემი შუამდგომლობით განცხადებების დიდი ნაწილი დააკმაყოფილა დიდუბის რაიონის გამგეობის სოციალურმა სამსახურმა, ასევე სხვადასხვა რაიონის გამგეობებმა და ქ.თბილისის მერიის სოციალურმა სამსახურმა.

როგორც ზემოდ ავღნიშნე აქტიურად ვთანამშრომლობ სხვადასხვა სამსახურებთან. სოციალურ სააგენტოსთან ჩემი შუამდგომლობით შევიდა განცხადებები, რომლის საფუძველზე მოხდა მოქალაქეების სოციალური მდგომარეობის გადაფასება და მიენიჭათ მათ შესაბამისი ქულები.

ასევე მინდა ავღნიშნო რომ დიღმის მასივში ჩატარებული ყველა ინფრასტრუქტული სამუშაო ,რომელიც განხორციელდა დიდუბის რაიონის გამგეობის ან მერიის სამსახურის მეშვეობით,უშუალოდ ვიღებდი მონაწილეობას ყველა პროექტის დაგეგმარებაში და ასევე პირადად ვეცნობოდი მიმდინარე სამუშაო პროცესებს და ბოლოს დასრულებულ პროექტს.

ჩატარებული ინფრასტუქტურული სამუშაოები

ასფალტის საფარი დაიგო **23** მისამართზე-**937862.96 ლარი**.

წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების აღდგენა შეკეთება **9** მისამართზე-**159328.43 ლარი**

ახალი სკვერები მოეწყო **7** მისამართზე-**470121.2 ლარი**

არსებული სკვერების აღდგენა **24** მისამართზე-**163742 ლარი**

სპორტული მოედნების აღდგენა **18** მისამართზე-**123206.33 ლარი**

ატრაქციონების მოწყობა **2** მისამართზე-**23498.04 ლარი**

ახალი მოაჯირების მოწყობა **6** მისამართზე-**34151.12 ლარი**

სპორტული მოწყობილობების (ტრენაჟორები) მოწყობა **8**მისამართზე-**153491.62 ლარი**

ახალი სპორტული მოედანი მოეწყო **2** მისამართზე-**217650.31 ლარი**

ინიციატივები

ჩემი შუამდგომლობის საფუძველზე დევნილთა და განსახლების სამინისტროსთან, ბელიაშვილის N5 სპორტ-კომპლექსში მაცხოვრებელი დევნილთა 18 ოჯახი დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართით.

ასევე ჩემი შუამდგომლობის საფუზველზე და ღუდუშაურის კლინიკის ამბულატორიული და დიაგნოსტიკური სამსახურის ხელმძღვანელის ქალბატონი სოფიო ხაჟომიას ინიციატივით, პერიოდულად ეწყობა უფასო აქციები, რომელიც მოიცავს უფასო კონსულტაციებს და გამოკვლევებს.